

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი № 7

23.05.2019 წელი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომათა დარბაზში 2019 წლის 23 მაისს 15: 00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ აფრასიძე

მდივანი: ლომა გადრანი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1: თეიმურაზ აფრასიძე

2: ემილ იბრაგიმოვი

3: აიდინ შარიფოვი

4: ზაურ გრიგალაშვილი

5: ნიაზ მაჯითოვი

6: დავით მენაბდიშვილი

კომისიის სხდომას ესწრებოდა:

კომისიის სხდომას ესწრება კომისიის 6 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2019- 2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს
დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელ
პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და
ადგილობრივი ბიუჯეტიდან პროექტების მოწონების თაობაზე, დმანისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბერს N 50 08 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი; თეიმურაზ აფრასიძე

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს:

თეიმურაზ აფრასიძე - 1 დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელ პროექტებში შევიდა ცვლილება; პუნქტ 3-დან 200000 ლარი გადატანილი იქნა ქ. დმანისის და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების გარე განათების მოწყობისთვის.

პუნქტ 3-იდან 105000 ლარი გადატანილი პუნქტ 2-ში ქ. დმანისის სკვერებში მდებარე საპირფარეშოების, 9 აპრილის და ჩოლოყაშვილის კვეთასთან მინი სტადიონის სკვერიბი და საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ; მაშავერაში, სოფ; ჯავახში, სოფ; ბოსლებში, სოფ; ვარდისუბანში და სოფ; გომარეთში მინი სტადიონების და სკვერების მოწყობა.

პუნქტ 11-იდან 47938 ლარი გადატანილი იქნა პუნქტ 6-ში რგვ პროექტების თანადაფინანსებისათვის.

1. აზრი გამოთქვას: ზაურ გრიგალაშვილმა, აიდინ შარიფოვმა, განსხვავებული აზრი არ დაფიქსირდა.

1. დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

კომისიის თავმჯდომარე:

მდივანი:

თ. აფრასიძე
1-3

თ. აფრასიძე

ლ.გადრანი